



09 ოქტ 2024 წ.



KA000022105732224

№ 106

ბრძანება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და სახალხო დამცველის აპარატის საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ლაბაძის 2024 წლის 4 ოქტომბრის N2024-1439 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი“ (დანართი N1).
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი მანქანების შესყიდვისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 29 მარტის N54 ბრძანება.
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საფინანსო, ლოჯისტიკის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტს დაევალოს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.
- დაინტერესებული პირებისათვის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ გაცნობა დაევალოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
- ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამგდამსულია
ელექტრონულად



ლევან იოსელიანი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ავტოპარკის კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესი (შემდგომში - წესი):

1. განსაზღვრავს მსუბუქი ავტომობილების კატეგორიებს და მათ მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლებს;
2. არეგულირებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აპარატის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში განსახორციელებელ შესყიდვებში მსუბუქი ავტომობილების შესყიდვასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს;
3. ადგენს ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრული ოდენობის დადგენის წესს (ასეთის გამოყენების შემთხვევაში).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) აპარატი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- ბ) აპარატის თანამშრომელი - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული პირი;
- გ) სატენდერო კომისია - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სატენდერო კომისია.

მუხლი 3. ავტომობილების კატეგორიები

1. აპარატის მიზნებისთვის შეიძლება შეძენილი იქნეს მსუბუქი ავტომობილები და მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები.
2. მაღალი გამავლობის ავტომობილების შეძენა დასაშვებია საქართველოს სახალხო დამცველისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახალხო დამცველისა და აპარატის თანამშრომელთა ზამთრის პერიოდში, ასევე რთულ კლიმატურ და რელიეფურ პირობებში გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 4. ტექნიკურ მოთხოვნები

1. ამ წესის N1 და N2 დანართებით განსაზღვრულია მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც გამოიყენება ავტომობილის შესყიდვისთვის.
2. წესის დანართებში ავტომობილების ზომები განისაზღვრება ქარხნული წარმოების აქსესუარების ჩათვლით.
3. ყოველი შესყიდვის დროს ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნები უნდა განისაზღვროს ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
4. დაუშვებელია შესყიდვის დოკუმენტაციაში დადგენილი მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების შეცვლა.

5. კონკრეტული შესყიდვის დროს, სატენდერო კომისიამ, საქართველოს სახალხო დამცველთან შეთანხმებით შესაძლებელია დაადგინოს ამ წესის N1 და N2 დანართებისგან განსხვავებული მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები, ასეთ შემთხვევაში სატენდერო კომისიის თავმჯდომარე წერილობით მიმართავს საქართველოს სახალხო დამცველს და წარუდგენს სატენდერო კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მინიმალური ტექნიკური მოთხოვნების ცვლილებასთან დაკავშირებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული მიმართვიდან სამ სამუშაო დღეში საქართველოს სახალხო დამცველი იღებს გადაწყვეტილებას და დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი რეზოლუციის მითითებით აცნობებს სატენდერო კომისიის წევრებს ეთანხმება თუ არ ეთანხმება სატენდერო კომისიას.

7. მიმწოდებელ სუბიექტებს შეუძლიათ, შეთავაზებისას გააუმჯობესონ მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები (გაუმჯობესებულ ვარიანტად ჩაითვლება ცხენის ძალის ზრდა, საწვავის ტიპი – ჰიბრიდი ჰიბრიდული ავტომობილის შემთხვევაში Plug-In მოდიფიკაცია), მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს მონაწილის უპირატესობას და ყველაზე დაბალი ფასისა და შესყიდვის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მყოფი პრეტენდენტი ცხადდება გამარჯვებულად შესაბამისი პროცედურის დაცვით.

მუხლი 5. ავტომობილის ფლობის ღირებულება

1. სატენდერო კომისია უფლებამოსილია ავტომობილების შესყიდვის დროს გაითვალისწინოს ავტომობილის ფლობის ღირებულების ზღვრულ ოდენობა, ასეთის შემთხვევაში:

1.1 სატენდერო კომისია ტენდერს აცხადებს ჯამურ ღირებულებაზე (ავტომანქანის ფასს დამატებული ფლობის ღირებულების ფასი და საწვავის ფასი);

1.2 ზღვრული ოდენობა დგინდება 150 ათას კილომეტრზე გარანტიის მოქმედების პერიოდში, შესასყიდი სერვისების/ნაწილების, ავტომობილისა და საწვავის ფასის ერთობლიობით. 150 ათას კილომეტრზე ზღვრული ფლობის ღირებულების კომპონენტებია:

ა) ავტომობილის შესყიდვის ფასი;

ბ) ძრავის ზეთის ხარჯი;

გ) ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;

დ) წინა და უკანა ხუნდების ხარჯი;

ე) ჰაერის ფილტრის ხარჯი;

ვ) კონდიციონერის ფილტრის ხარჯი;

ზ) ანთების სანთლების ხარჯი;

თ) ძრავის ღვედის ხარჯი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ი) მწარმოებლის რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა ხარჯები;

კ) შიდა წვისა და ჰიბრიდული ავტომობილებისათვის საწვავის ხარჯი (შერეული წვის პირობებში) საპასპორტო მონაცემებით, ხოლო ელექტრომობილისთვის – მოხმარებული კილოვატსაათი საპასპორტო მონაცემებით

1.3 შიგა წვის ძრავის მქონე ავტომობილის ან ჰიბრიდული ავტომობილის შესყიდვის დროს საწვავის ხარჯის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 1-ის, ხოლო ელექტრომობილის შესყიდვის დროს საწვავის ხარჯი გამოიანგარიშება მისი შესაბამისი რაოდენობის ნამრავლით 1 კილოვატსაათის პირობით ფასზე, რომელიც ტოლია 0.20-ის;

1.4 სატენდერო კომისიამ, სატენდერო დოკუმენტაციაში უნდა გაითვალისწინოს მიმწოდებლის/პრეტენდენტების შემდეგი ვალდებულებები:

ა) მიმწოდებელი ვალდებული უნდა იყოს 150 ათას კილომეტრზე ფლობის ღირებულების ფარგლებში, შემსყიდველს მიაწოდოს ხუნდები, საჭიროების შემთხვევაში, წინა – სულ მცირე, შვიდჯერ, ხოლო უკანა – სულ მცირე, ოთხჯერ (ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობის ამოწურვის შემდგომ,

ხუნდების ყოველი შემდგომი შესყიდვა ანაზღაურებული იქნება აპარატის მიერ არა დადგენილი ფლობის ღირებულების ფარგლებიდან, არამედ ავტოტექნომოსახურების დამატებით გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით), ამასთან მიმწოდებელმა უსასყიდლოდ უნდა განახორციელოს დადგენილი ფლობის ფარგლებში იმ კომპონენტების შეცვლა ან/და მომსახურება, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული ფლობის ღირებულებაში (გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა - ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);

ბ) პრეტენდენტი ვალდებული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში ფასი წარადგინოს კომპონენტების მიხედვით (ავტომანქანის, ავტომანქანის სერვისისა და საწვავის ღირებულების მიხედვით);

გ) თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან; პრეტენდენტის მიერ წარდგენილი განფასება ძალაში უნდა იყოს ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე, ფლობის განმავლობაში;

1.5 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, იმ შემთხვევაში, თუ არ გაუარესდება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობა, ქარხანა-მწარმოებლების რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია, ფლობის ღირებულების კომპონენტების პარამეტრის ცვლილება;

1.6 აპარატი, ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, გამარჯვებულ პრეტენდენტთან აფორმებს მხოლოდ ავტომობილის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას, ხოლო ავტომობილის ფლობის ღირებულების კომპონენტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციასთან (მიმწოდებელთან, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას იმ საგარანტიო პირობების ანალოგიურად, რომელსაც თავდაპირველი მიმწოდებელი სთავაზობს შემსყიდველს) დებს ხელშეკრულებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ავტომობილის ფერი

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შესასყიდი ავტომობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, გარდა შავისა.

მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები

საწვავის ტიპი – ბენზინი	
ძრავას მოცულობა არანაკლებ	1,5
ცხენის ძალა არანაკლებ	105
კარები	4/5 (4 სალონის + 1 საბარგულის)
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური ან ტიპტრონიკი ან ვარიატორი
სიგრძე არანაკლებ	4350
სიგანე არანაკლებ	1760
სიმაღლე არანაკლებ	1430
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი), ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
ელექტროშუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 200კმ
აუცილებელი მოთხოვნა	პარკინგ კონტროლი ან უკანა ხედვის კამერა

საწვავის ტიპი - ჰიბრიდი	
ძრავას მოცულობა არანაკლებ	1,5
კომბინირებული ცხენის ძალა არანაკლებ	141
კარები	4/5 (4 სალონის + 1 საბარგულის)
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური ან ტიპტრონიკი ან ვარიატორი
სიგრძე არანაკლებ	4347
სიგანე არანაკლებ	1775
სიმაღლე არანაკლებ	1452
საგარანტიო პირობები	7 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი, ჰიბრიდის აგრეგატი (მათ შორის ჰიბრიდის ელემენტები)), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი), ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
ელექტრომუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 6 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერა
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	ESC – სტაბილურობის ელ. კონტროლი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის ელექტრო- ან ჰიდროგამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 200კმ
აუცილებელი მოთხოვნა	პარკინგ კონტროლი ან უკანა ხედვის კამერა

საწვავის ტიპი - ელექტრო	
კარები	4/5 (4 სალონის +1 საბარგულის)
ცხენის ძალა არანაკლებ	118
მანძილი სრული დამუხტვით (WLTP) არანაკლებ	250
აკუმულატორის მოცულობა (კვტ.სთ) არანაკლებ	39
სიგრძე არანაკლებ	3582
სიგანე არანაკლებ	1738
სიმაღლე არანაკლებ	1490
საგარანტიო პირობები	7 წელი ძირითად აგრეგატებზე (ხიდი, გადაცემათა კოლოფი, ელექტროობა (მართვის ბლოკები) მაღალი ძაბვის ელემენტები (ბატარეები), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი), ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
ელექტრომუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 6 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კლიმატკონტროლი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	ESC – სტაბილურობის ელ. კონტროლი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის ელექტრო- ან ჰიდროგამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის და სიგრძის რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 200კმ
აუცილებელი მოთხოვნა	პარკინგ კონტროლი ან უკანა ხედვის კამერა

დანართი N2

მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები

საწვავის ტიპი – ბენზინი ან დიზელი	
ძრავას მოცულობა არანაკლებ	2,0
ცხენის ძალა არანაკლებ	120
კარები	4/5 (4 სალონის + 1 საბარგულის)
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური ან ტიპტრონიკი ან ვარიატორი
სიგრძე არანაკლებ	4223
სიგანე არანაკლებ	1765
სიმაღლე არანაკლებ	1570
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრინი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი);
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი), ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
ელექტროშუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 4 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი, უკანა საქარე მინის ელ. გათბობა
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	4X4
აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 200კმ
აუცილებელი მოთხოვნა	პარკინგ კონტროლი ან უკანა ხედვის კამერა

საწვავის ტიპი - ჰიბრიდი	
ძრავას მოცულობა არანაკლებ	2,0
კომბინირებული ცხენის ძალა არანაკლებ	222
კარები	4/5 (4 სალონის + 1 საბარგულის)
გადაცემათა კოლოფი	ავტომატური ან ტიპტრონიკი ან ვარიატორი
სიგრძე არანაკლებ	4465
სიგანე არანაკლებ	1805
სიმაღლე არანაკლებ	1595
საგარანტიო პირობები	7 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი, ჰიბრიდის აგრეგატი (მათ შორის, ჰიბრიდის ელემენტები)), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე შესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საყრდენი დისკი)
უსაფრთხოების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული მოდელის ნებისმიერ მოდიფიკაციაზე აღებული შესაბამისი ქრამტესტის სერტიფიკატი	NCAP (ევრო ქრამტესტი), ან IIHS (ამერიკული ქრამტესტი) ან JNCAP (იაპონური ქრამტესტი)
ელექტროშუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	მინიმუმ 7 უსაფრთხოების ბალიში
აუცილებელი მოთხოვნა	კლიმატკონტროლი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოსისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	ABS, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა
აუცილებელი მოთხოვნა	ESC – სტაბილურობის ელ. კონტროლი
აუცილებელი მოთხოვნა	4X4 მექანიკური ან ავტომატური ჩართვის და გამორთვის ფუნქციით
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის ელექტრო- ან ჰიდროგამამლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის სიმაღლის და სიგრძის რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
აუცილებელი მოთხოვნა	სარკეების ელ. რეგულირება
აუცილებელი მოთხოვნა	გარბენი არაუმეტეს 200 კმ
აუცილებელი მოთხოვნა	მარცხენა საჭე
აუცილებელი მოთხოვნა	პარკინგ კონტროლი ან უკანა ხედვის კამერა